საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-5/10649
30/10/2023

10649-15-5-2-202310301025

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მსჯავრდებულ [redacted] თავისუფლების აღკვეთის უფროს მსუბუქი სასჯელით (შინაპატიმრობით) შეცვლის ან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო რატი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს მსჯავრდებულ [redacted] საქმეს. მსჯავრდებულის განცხადებისა და თანდართული მასალის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ მსჯავრდებულ [redacted], დანაშაულის ხასიათზე მითითებითა და სხვა კრიტერიუმების არაჯეროვანი შეფასების შედეგად, უარი ეთქვა თავისუფლების აღკვეთის უფროს მსუბუქი სასჯელით - შინაპატიმრობით შეცვლაზე. ამასთან, პატიმრის ინფორმაციით, 2023 წლის 13 სექტემბერს, ადგილობრივ საბჭოში გაიგზავნა მისი პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე შუამდგომლობა.

ფაქტობრივი გარემოებები:

მსჯავრდებულ [redacted] თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე შუამდგომლობა 2-ჯერ არ დაკმაყოფილდა.[1] ადგილობრივი საბჭოს მიერ ზეპირი მოსმენის გარეშე მიღებულ გადაწყვეტილებებში აღნიშნულია:

განაჩენი/დანაშაულის ხასიათი/სასჯელი - [redacted] ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 18, 108-ე მუხლით ([redacted] განზრახ მკვლელობის მომზადება) და 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის - პისტოლეტის და საბრძოლო მასალის - 6 ც. ვაზნის

[1] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2023 წლის 5 თებერვლის N01/23/მ/ბ-0036 და 2023 წლის 6 სექტემბრის N01/23/მ/ბ-0298 გადაწყვეტილებები.

საქართველო, თბილისი 0102, დავით აღმაშენებლის გამზირი N80,
ცხელი ხაზი: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge
80 David Agmashenebeli Avenue, Tbilisi 0102, Georgia,
Hotline: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; E-mail: info@ombudsman.ge

მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა, შენახვა) და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით,[2] რომლის მოხდა დაეწყო [redacted] ამნისტიის[3] გამოყენებით, სასჯელი შეუმცირდა 75 დღით. [redacted] შეწყალების კომისიის მიერ უარი ეთქვა შეწყალებაზე. სასჯელის დასრულების თარიღია - 2025 წლის 25 ნოემბერი, 2/3 მოხდის თარიღი - 2022 წლის 20 დეკემბერი.

[redacted] *წარსულში ნასამართლობის არმქონე პირია.*

სასჯელის მოსახდელად განესაზღვრა შემდეგი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები: პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის [redacted] N[redacted] ბრძანებით სასჯელის მოხდა განესაზღვრა დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის შეფასების გუნდის მიერ განესაზღვრა საშიშროების მომეტებული რისკი. N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანილია 2019 წლის [redacted] სამედიცინო ცენტრიდან, N[redacted] პენიტენციურ დაწესებულებაზე რიცხული.

ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში: სასჯელის მოხდის პერიოდში წახალისებული ან დისციპლინურ სახდელდადებული არ ყოფილა. იცავს დაწესებულების დებულებით დადგენილ ნორმებს და ემორჩილება ადმინისტრაციის კანონიერ მოთხოვნებს. არ არის აგრესიული და კონფლიქტური.

მონაწილეობა სოციალურ აქტივობებში: მსჯავრდებულის განცხადებით, N9 პენიტენციურ დაწესებულებაში 2018 წლის იანვარში მონაწილეობდა სოციალურ აქტივობებში „საშობაო გზავნილი 2018", 2018 წლის თებერვალში მონაწილეობდა ინტელექტუალურ თამაშში „რა? სად? როდის?", რომელშიც გაიმარჯვა და პირველი ადგილი მოიპოვა. ასევე, 2018 წლის მარტში და 2019 წლის იანვარში მონაწილეობდა „ხელოვნების კონკურსში", წარმოდგენილი აქვს შესაბამისი სიგელები და სერტიფიკატი. გარდა ამისა, მსჯავრდებული აცხადებს, რომ გადიოდა ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებს, თუმცა კურსი შეწყდა და შესაბამისად, სერტიფიკატი არ გადაუცია.

მსჯავრდებულთან ფსიქოლოგი არ მუშაობს.

განათლება, პროფესია, უნარები: მსჯავრდებულის გადმოცემით, უმაღლესი განათლების მქონე, [redacted] კურსდამთავრებული.

ოჯახური მდგომარეობა: მსჯავრდებულის გადმოცემით, ჰყავს მეუღლე და 3 არასრულწლოვანი შვილი, ოჯახის წევრებთან აქვს საუკეთესო ურთიერთობა. ოჯახის მატერიალურ მდგომაროებაზე სრული ინფორმაცია არ აქვს.

---

[2] თბილისის საქალაქო სასამართლოს [redacted] განაჩენი. აღნიშნული განაჩენი უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს [redacted] თებერვლის განაჩენით, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს [redacted] განჩინებით, საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული განსახილველად.

[3] 2022 წლის 14 აპრილის „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონი.

დაზარალებულის პოზიცია: მსჯავრდებულმა წარადგინა, დაზარალებულის პოზიცია ნოტარიულად დამოწმებული, მსჯავრდებულის გადმოცემით, სასამართლოს მიერ ჯარიმა და დაზარალებულისთვის ზიანის ანაზღაურება არ დაკისრებია.

დამატებითი ინფორმაცია/კომენტარი: მსჯავრდებულმა წარადგინა ჯანმრთელობის მდგომაროების შესახებ დოკუმენტები და დაზარალებულად ცნობის დადგენილება.

მოტივაცია ცვლილებებისკენ: აცხადებს, რომ სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით - შინაპატიმრობით შეცვლის შემთხვევაში გეგმავს ჯანმრთელობის მდგომაროების გაუმჯობესებას, ოჯახთან ურთიერთობის იძულებით დაკარგული დროის აღმოფხვრას. დაკავებამდე, როგორც [redacted] კურსდამთავრებულს მოპოვებული ჰქონდა საკანდიდატო თემის დაწერის უფლება და აპირებს მასზე მუშაობის გაგრძელებას და პედაგოგიური და [redacted] მოღვაწეობის გაგრძელებას.

გათავისუფლების შემდეგ: აპირებს იცხოვროს იგივე მისამართზე, სადაც დაკავებამდე ცხოვრობდა [redacted] და გამოცხადდება [redacted] პრობაციის ბიუროში.

საბჭომ 2023 წლის თებერვალში მიღებულ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ მსჯავრდებული [redacted] სასჯელის მოხდის პერიოდში რაიმე სახის დარღვევაში შემჩნეული არ ყოფილა, იცავს დაწესებულების დებულებით დადგენილ ნორმებს და მოთხოვნებს, არ არის აგრესიული და კონფლიქტური, არ არის წარსულში ნასამართლევი, დადებითი დამოკიდებულება და კარგი ურთიერთობა აქვს ოჯახის წევრებთან. თუმცა საბჭომ აღნიშნა, რომ სასჯელის მოხდის პერიოდში, [redacted] წლიდან მოცემულ დრომდე, არცერთხელ ყოფილა წახალისებული. საგულისხმოა, რომ საბჭომ ყურადღება გაამახვილა დანაშაულის ხასიათზე, სახეზეა დანაშაულთა ერთობლიობა: განზრახ მკვლელობის მომზადება და ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა. ადგილობრივმა საბჭომ მიუთითა სიცოცხლის უფლების მნიშვნელობაზე. მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის კონკრეტულმა გარემოებებისა და ფაქტორების გათვალისწინებით, უდავოდ ვერ იქნა მიჩნეული, რომ მიღწეული იქნა სასჯელის მიზანი. საბჭომ მოცემულ ეტაპზე მიიჩნია, რომ ამ კრიტერიუმების თანმხლები ნეგატიური მოსაზრებები ვერ გაბათილდა და ვერ გადაწონა სხვა დადებითი კონტექსტის კრიტერიუმებმა.

2023 წლის სექტემბრის გადაწყვეტილებაში საბჭომ თითოეულ კრიტერიუმთან დაკავშირებით აღნიშნა:

- მთავარი აქცენტი კვლავ **დანაშაულის ხასიათზე** გაკეთდა, რაც უარყოფითად შეფასდა. საბჭო ყურადღებას აქცევს დანაშაულის კატეგორიას, ხასიათს, ხერხს და მის ინტენსივობას, ასევე, აფასებს მომავალში მისი ჩადენის რისკებს. საყურადღებოა თავად მსჯავრდებულის პიროვნება და მისი დამოკიდებულება სოციუმთან დაკავშირებით. განზრახი დანაშაულის ჩადენის ფაქტები მიუთითებს მის პიროვნებასა და მისგან მომდინარე საფრთხეზე. მხედველობაში იღებს, ასევე, ჩადენილი ქმედების განხორციელების სახესა და ხერხს, რაც ასევე, საზოგადოებისთვის მომეტებული საშიშროების მატარებელია. საკითხის

დადებითად გადაწყვეტისას საბჭოს უნდა გაუჩნდეს მაღალი ნდობა მსჯავრდებულის მიმართ, რომ მიღწეულია პირის კანონმორჩილ მოქალაქედ გადაქცევის მიზანი და გათავისუფლების შემთხვევაში თავიდან იქნება აცილებული დანაშაული. ადგილობრივი საბჭო უფლებამოსილია უარი დააფუძნოს ნებისმიერ სათანადოდ გამოკვლეულ ფაქტობრივ გარემოებაზე, მაგ. რა ვითარებაში იქნა დანაშაული ჩადენილი.

- წარსულში **ნასამართლობის არქონის ფაქტი** დადებითად შეფასდა.
- **ოჯახური პირობები** საბჭომ დადებითად ვერ შეაფასა და აღნიშნა, რომ ბუნდოვანია ჰყავს თუ არა ძლიერი მხარდამჭერი ქსელი ოჯახის წევრების სახით, რომლებიც აქტიურად დაუდგებიან მხარში და მზად იქნებიან მომავალშიც თანადგომა გაუწიონ მას.
- **სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის ქცევის** დადებითად შეფასების შესაძლებლობას საბჭო მოკლებულია, რადგან საბჭოს მოსაზრებით, ის ფაქტი, რომ მსჯავრდებული არ არღვევს სამართლებრივი რეჟიმის მოთხოვნებს, დადებითად ვერ შეფასდება, ვინაიდან დაწესებულებაში შესახლებისთანავე მსჯავრდებულებს გაეცნობათ უფლებები და მოვალეობები და ვალდებულნი არიან დაემორჩილონ შინაგანაწესს, მათ შორის, ქცევის კომპონენტში. მსჯავრდებულის ქცევის შეფასების შესაძლებლობას იძლევა იძლევა ის გარემოება, თუ რამდენად იცავს სარეჟიმო მოთხოვნებს, მსჯავრდებულის ვალდებულებაა (და არა უფლება) დაიცავს დღის წესრიგითა და დებულებით გათვალისწინებული მოთხოვება. აუცილებელია მსჯავრდებულის ქცევის დადებითი განვითარების დინამიკა ჩანდეს მკაფიოდ, რაც წახალისების სხვადასხვა ფორმით შეიძლება იქნეს გამოხატული.
- **მსჯავრდებულის პიროვნების** შეფასებისას საბჭომ მიუთითა მსჯავრდებულის დამოკიდებულებაზე ჩადენილ დანაშაულთან. საბჭოს მსჯელობით, მსჯავრდებული განმარტავს, რომ შინაპატიმრობით გათავისუფლების შემთხვევაში გეგმავს ჯანმრთელობის მდგომაროების გაუმჯობესებას, ოჯახთან იძულებით დაკარგული დროის აღმოფხვრას, რაც ირიბად მიუთითებს, რომ მსჯავრდებული დანაშაულს არ აღიარებს. დახასიათებიდან ირკვევა, რომ მსჯავრდებული არ არღვევს დაწესებულების შინაგანაწესს, თუმცა მნიშვნელოვანია მკაფიოდ ჩანდეს მსჯავრდებულის სამომავლო გეგმები და მოტივაცია, ვინაიდან აღნიშნული პირდაპირ კავშირშია რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესთან. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ მსჯავრდებული საჭიროებს განსაკუთრებულ ზედამხედველობას დაწესებულების მხრიდან, რასაც ადასტურებს მსჯავრდებულისთვის განსაზღვრული საშიშროების მომეტებული რისკი. საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან და სიმძიმიდან გამომდინარე მხოლოდ დაზარალებულის თანხმობა ვერ გადაწონის და ვერ გააბათილებს მსჯავრდებულის მხრიდან მომდინარე განზრახი დანაშაულის სამომავლო ჩადენის მომეტებულ საშიშროებას.

სამართლებრივი დასაბუთება:

საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს კონსტიტუციის[4] თანხმად, სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შემსუბუქების სხვა წესი განისაზღვრება კანონით.

კანონის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.[5] სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით. მსჯავრდებულზე ასეთი ზემოქმედების ფორმები და საშუალებები გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ კანონმდებლობით.[6] სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება.[7]

კანონით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივ საბჭოს შეუძლია ვადიანი თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს **(გარდა განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებულისა)**, სასჯელის მოხდის დროს, მისივე თანხმობით, შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით[8] ან შინაპატიმრობით,[9] თუ მან ფაქტობრივად მოიხადა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედი.[10]

მსჯავრდებულს, მის დამცველს/კანონიერ წარმომადგენელს (გარდა საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულისა) უფლება აქვს, წარუდგინოს საბჭოს მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხის განსახილველად საჭირო დოკუმენტაცია და შესაბამისი შუამდგომლობა. აგრეთვე, შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის წარდგენაც.[11]

კანონით, სასჯელის სახით ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეფარდებული პირი (განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის გარდა) შეიძლება პირობით ვადამდე გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისაგან, თუ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა.[12] მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ფაქტობრივად მოიხადა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ სამი მეოთხედი.[13]

თუ მსჯავრდებულმა (საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულის გარდა) ფაქტობრივად მოიხადა პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის კანონით დადგენილი

---

[4] საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[5] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[6] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილი.
[7] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილი.
[8] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილი.
[9] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის 3^1 ნაწილი.
[10] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ" ქვეპუნქტი.
[11] საქართველოს პატიმრობის კოდექსის 43-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები.
[12] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[13] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტი, საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტი.

ვადა, პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია საბჭოს დაუყოვნებლივ წარუდგინოს შესაბამისი შუამდგომლობა.[14]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (2015 წლის 10 ივნისის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაული სასჯელის სახით ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას 4 წლამდე ვადით. შესაბამისად, ხსენებული დანაშაული წარმოადგენს ნაკლებად მძიმე[15] დანაშაულს. ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 18, 108-ე მუხლით (2022 წლის 24 მაისის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაული სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 10-15 წლამდე ვადით (2022 წლის 24 მაისის ცვლილებამდე მოქმედი რედაქციის მიხედვით, სანქცია განისაზღვრებოდა 7-15 წლამდე თავისუფლების აღკვეთით) და მიეკუთვნებოდა/მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე[16] დანაშაულთა კატეგორიას.

ამდენად, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულის მიმართ (გარდა საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულისა) დანიშნული სასჯელის 2/3-ის მოხდის შემდეგ, მსჯავრდებულის შუამდგომლობით შესაძლებელია სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით (შინაპატიმრობა ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა) შეცვლა, ხოლო 3/4-ის მოხდის შემდეგ, დაწესებულების შუამდგომლობის საფუძველზე - სავალდებულოა პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვა.

როგორც პირობით ვადამდე გათავისუფლების, ასევე, თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის თაობაზე შუამდგომლობის განხილვისას საბჭო ითვალისწინებს სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის ქცევას, წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტებს, მსჯავრდებულის პიროვნებას, ოჯახურ მდგომარეობას, ჩადენილი დანაშაულის ხასიათს და სხვა გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საბჭოს გადაწყვეტილებაზე.[17]

საბჭოს განხილვა ტარდება ზეპირი მოსმენით ან/და ზეპირი მოსმენის გარეშე, ადმინისტრაციული წარმოების წესების დაცვით. ზეპირი მოსმენის გარეშე საბჭო შეფასების კრიტერიუმების მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის, სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის, საქმის ზეპირ მოსმენაზე განსახილველად დაშვების ან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ.[18]

თუ საბჭო საჭიროდ მიიჩნევს მსჯავრდებულისაგან დამატებითი ინფორმაციის მიღებას პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის გადასაწყვეტად, ატარებს ზეპირ მოსმენას. ზეპირი მოსმენით საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულის სასჯელის

---

[14] საქართველოს პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[15] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილი: „ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას."

[16] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილი: „განსაკუთრებით მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა."

[17] საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-4 ნაწილი, 43-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

[18] საქართველოს პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 43-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების ან გათავისუფლებაზე უარის შესახებ.[19] საბჭო მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ზეპირი მოსმენით.[20] საბჭო მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მსჯავრდებულის თანხმობის შემთხვევაში.[21]

კანონქვემდებარე აქტით გაწერილია შეფასების კრიტერიუმები და ყურადღებამისაქცევი გარემოებები:[22]

- დანაშაულის ხასიათი – ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მისი ჩადენის გარემოებები და ვითარება, ჩადენილია თუ არა პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში;
- მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში – გამოყენებული დისციპლინური, ადმინისტრაციული და წამახალისებელი ღონისძიებების რაოდენობა და სახე, კონკრეტულად რა სახის ქმედების გამო, დაწესებულების დებულების, დღის განრიგის, მოვალეობების შესრულებისა და სამართლებრივი რეჟიმის დაცვის შესახებ ინფორმაცია;
- წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა – წარსულში რამდენჯერ, რა სიმძიმის და რა სახის დანაშაულის ჩადენის ფაქტს ჰქონდა ადგილი, რა სახის, რა სიმძიმის დანაშაულებისთვის და რამდენჯერ იყო ნასამართლევი;
- ოჯახური პირობები – მსჯავრდებულის დამოკიდებულება ოჯახის წევრებთან, ჰყავს თუ არა მცირეწლოვანი შვილები, შრომისუუნარო ოჯახის სხვა წევრები, ახლო ნათესავების მატერიალური მდგომარეობა და სხვა;
- მსჯავრდებულის პიროვნება – დამოკიდებულებას ჩადენილ დანაშაულთან, დაწესებულების მოსამსახურეებთან და სხვა მსჯავრდებულებთან, ინფორმაცია სასჯელის მოხდისას სოციალურ აქტივობებში მიღებული მონაწილეობის შესახებ, საჭიროებს თუ არა განსაკუთრებულ ზედამხედველობას დაწესებულების ხელმძღვანელობის მხრიდან და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რაც პიროვნების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

საბჭოს გადაწყვეტილებაში აღინიშნება მსჯავრდებულის მონაცემები და საქმის ძირითადი გარემოებები.[23] საბჭოს გადაწყვეტილება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

---

[19] საქართველოს პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილი.
[20] საქართველოს პატიმრობის კოდექსის 43-ე მუხლის მე-5 ნაწილი.
[21] საქართველოს პატიმრობის კოდექსის 43-ე მუხლის მე-6 ნაწილი.
[22] „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანების დანართის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტები.
[23] საქართველოს პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 43-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოიცემა სხდომის გამართვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.[24] გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.[25]

მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილების მიღებიდან იმავე საკითხზე შუამდგომლობის ხელახლა განხილვა შესაძლებელია მხოლოდ 6 თვის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსახდელი სასჯელის ვადა 6 თვეს არ აღემატება ან/და არსებობს განსაკუთრებული გარემოება.[26] მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვა სავალდებულოა 6 თვეში ერთხელ. თუ მოსახდელი სასჯელის ვადა 6 თვეს არ აღემატება, საბჭო პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს განიხილავს მსჯავრდებულის წერილობითი განცხადების საფუძველზე.[27]

პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მსჯავრდებულს შეიძლება დაეკისროს კანონით[28] გათვალისწინებული მოვალეობა, რომელიც მან უნდა შეასრულოს სასჯელის მოუხდელი ნაწილის ვადაში.[29] საბჭო უფლებამოსილია პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში მიმართოს სააგენტოს რეკომენდაციით მსჯავრდებულისათვის დამატებითი პირობების განსაზღვრის თაობაზე.[30]

შინაპატიმრობა ნიშნავს მსჯავრდებულისათვის დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრებას და როგორც წესი, აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით (ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოუყენებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სააგენტო).[31]

პირობით ვადამდე გათავისუფლებული და შინაპატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულის ყოფაქცევის კონტროლს ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიურო.[32]

---

[24] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანების დანართის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[25] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანების დანართის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[26] საქართველოს პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის მე-7 ნაწილი და 43-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

[27] საქართველოს პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის მე-7 ნაწილი.

[28] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობა შეიძლება იყოს შემდეგი მოვალეობის შესრულება: ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი, არ დაამყაროს ურთიერთობა იმასთან, ვინც შეიძლება იგი ჩააბას ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში, არ მოინახულოს განსაზღვრული ადგილი, მატერიალურად დაეხმაროს ოჯახს, გაიაროს ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ტოქსიკომანიის ან ვენერიული სენის მკურნალობის კურსი. შესაძლებელია სხვა მოვალეობის დაკისრებაც, რომელიც ხელს შეუწყობს მის გამოსწორებას.

[29] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

[30] საქართველოს პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

[31] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 47^1 მუხლის პირველი და მე-5 ნაწილები. „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 44^8 მუხლის მე-6 პუნქტი.

[32] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მე-5 ნაწილი, 73-ე მუხლის მე-9 ნაწილი, საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-40 მუხლის მე-4 ნაწილი.

თუ მსჯავრდებულმა შინაპატიმრობის მოხდისას განზრახ თავი აარიდა მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, ან თუ სხვა მიზეზით სასჯელის შემდგომი მოხდა მიზანშეუწონელია; ასევე, სასჯელის მოუხდელ ვადაში პირობით ვადამდე გათავისუფლებულმა მსჯავრდებულმა ჯიუტად (სისტემატურად ან/და უხეშად[33]) თავი აარიდა მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, შესაძლებელია გაუქმდეს შინაპატიმრობა/პირობით ვადამდე გათავისუფლება და აღსრულდეს თავისუფლების აღკვეთის სასჯელის მოუხდელი ნაწილი; თუ გაუფრთხილებლობითი დანაშაული ჩაიდინა - პირობით ვადამდე გათავისუფლების/შინაპატიმრობის გაუქმების ან ძალაში დატოვების საკითხს წყვეტს სასამართლო; ხოლო თუ განზრახი დანაშაული ჩაიდინა - სასამართლო დაუნიშნავს მას სასჯელს კანონით გათვალისწინებული წესით.[34]

საერთაშორისო სტანდარტები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციით, პირობით ვადამდე გათავისუფლების პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები, მათი განხორციელების წესი და მსჯელობა მიეკუთვნება სახელმწიფოების უფლებამოსილებას.[35] სახელმწიფოს არჩევანი კონკრეტული სისხლისსამართლებრივი სისტემის სასარგებლოდ, მათ შორის, სასჯელის გადახედვისა თუ ვადამდე გათავისუფლების საკითხებზე, ხვდება ევროპული სასამართლოს ზედამხედველობის სფეროს მიღმა იმ პირობით, რომ სისტემა არ ეწინააღმდეგება კონვენციით დადგენილ პრინციპებს.[36]

მართალია, დასჯა თავისუფლების აღკვეთის ერთ-ერთი მიზანია, თუმცა ევროპული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა უკვე აქცენტს აკეთებს პატიმრობის სარეაბილიტაციო მიზანზე, როგორც გრძელვადიანი სასჯელის სასურველ საბოლოო შედეგზე.[37] ასევე, დანაშაულის ხელახლა ჩადენის პრევენცია წარმოადგენს საპატიმრო სასჯელის ერთ-ერთ „უმთავრეს ფუნქციას".[38] მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია არ იძლევა გარანტიას - რეაბილიტაციის უფლებას, სასამართლოს პრეცედენტული სამართალი აცხადებს, რომ მსჯავრდებულებს, მათ შორის უვადო პატიმრებს, უნდა შეეძლოთ რეაბილიტაცია[39] და, ასევე, უნდა ჰქონდეთ გათავისუფლების პერსპექტივა რეაბილიტაციის გავლის შემდეგ.[40] იმ გარემოებებში, როდესაც მთავრობა ცდილობს დაეყრდნოს მხოლოდ დამნაშავეების

---

[33] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მოვალეობის შესრულებისთვის ჯიუტად თავის არიდებაზე მიუთითებს, ხოლო საქართველოს პატიმრობის კოდექსი - სისტემატურად ან/და უხეშად.

[34] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა"-„გ" ქვეპუნქტები, 72-ე მუხლის მე-12 ნაწილის „ა"-„გ" ქვეპუნქტები, საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-40 მუხლის მე-5 ნაწილის „ა"-„გ" ქვეპუნქტები.

[35] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2008 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Kafkaris v. Cyprus, განაცხადი N21906/04 §151.

[36] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Vinter and others V. UK განაცხადები N 66069/09, 130/10 and 3896/10) პარ. 103.

[37] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Vinter and others v. UK განაცხადები N66069/09, 130/10 and 3896/10 პარ. 115.

[38] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Vinter and others v. UK განაცხადები N66069/09, 130/10 and 3896/10 პარ. 108.

[39] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Murray v. the Netherlands განაცხადი N10511/10 პარ. 103.

[40] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Vinter and others v. UK განაცხადები N66069/09, 130/10 and 3896/10 პარ. 114.

მიერ საზოგადოების წინაშე არსებულ რისკს, რათა გაამართლოს მათი პატიმრობა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დამნაშავეთა რეაბილიტაციის წახალისების საჭიროება. ხოლო რეაბილიტაციის ერთ-ერთი მიზანია ხელახალი დანაშაულის თავიდან აცილება და ამით საზოგადოების დაცვის უზრუნველყოფა.[41]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ[42] უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულის საქმის განხილვისას შეაჯამა და ჩამოაყალიბა ზოგადი პრინციპები, რომელიც გონივრულად არანაკლებ რელევანტურია ვადიანი თავისუფლებააღკვეთილი პატიმრებისთვისაც:

- თავისუფლების აღკვეთის ლეგიტიმური საფუძვლებია: დასჯა, შეკავება, საზოგადოების უსაფრთხოება და რეაბილიტაცია;
- [უვადო] თავისუფლების აღკვეთის სასჯელის გადახედვა უნდა გულისხმობდეს საკითხების განხილვას: არის თუ არა პატიმრის ცხოვრებაში რაიმე ცვლილება და აღნიშნება თუ არა რეაბილიტაციისკენ პროგრესი; და არის თუ არა ეს ცვლილებები იმდენად მნიშვნელოვანი, რომ თავისუფლების აღკვეთის გაგრძელება აღარ იყოს გამართლებული ლეგიტიმური მიზნებით;
- შეფასება უნდა ეფუძნებოდეს წესებს, რომლებსაც აქვთ საკმარისი სიცხადე და უტყუარობა;
- ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი პირობები უნდა შეესაბამებოდეს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს;
- შეფასება უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ, წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებს;
- უნდა განიხილებოდეს რელევანტური ინფორმაცია;
- განხილვა უნდა ითვალისწინებდეს საკმარის საპროცესო გარანტიებს;
- რამდენადაც საჭიროა პატიმარმა იცოდეს, რა უნდა გააკეთოს გათავისუფლების განხილვისთვის და რა პირობებით, საჭიროა მიზეზების დადგენა, დასაბუთება; დაცული უნდა იყოს სასამართლო განხილვის ხელმისაწვდომობა.

ევროპული ციხის წესების[43] თანახმად, ყველა პატიმარს უნდა გაეწიოს შეღავათი მათი მომზადებისას გათავისუფლების შემდგომ თავისუფალ საზოგადოებაში დასაბრუნებლად; უნდა შედგეს პერსონალური გეგმა თითოეული პატიმრის სასჯელის მოხდის შესახებ და სტრატეგია პატიმართა გათავისუფლებისათვის მომზადების შესახებ; გეგმა, რამდენადაც მისი პრაქტიკაში გატარება შესაძლებელია, უნდა მოიცავდეს: სამუშაოს, განათლებას, სხვა აქტივობებს, გათავისუფლებისათვის მომზადებას; მსჯავრდებულებს დროულად უნდა დაეხმარონ, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროცედურებსა და სპეციალურ პროგრამებში, რომელიც დაეხმარება მათ მოახდინონ ტრანსფორმაცია ციხეში ცხოვრებიდან

---

[41] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Murray v. the Netherlands განაცხადი N10511/10 პარ. 102.

[42] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Murray v. the Netherlands განაცხადი N10511/10 პარ. 100.

[43] ევროპის საბჭო მინისტრთა კომიტეტი მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 952-ე შეხვედრაზე, ცვლილებები და შესწორებები შეტანილია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2020 წლის 1 ივლისს მინისტრთა მოადგილეების 1380-ე კრებაზე) პუნქტ. 33.3, 103.2, 103.4, 107.1-107.3. <https://rm.coe.int/09000016809ee581> [ბოლოს ნანახია: 25.09.2023 წელს]

კანონმორჩილი ცხოვრებისაკენ საზოგადოებაში; განსაკუთრებით ხანგრძლივი ვადით მსჯავრდებულების მიმართ მიღებული უნდა იქნას ზომები, რომლებიც თანდათანობით მოახდენს მათ დაბრუნებას თავისუფალ საზოგადოებაში; ეს მიზანი შეიძლება მიღწეული იქნას ციხეებში გათავისუფლებისათვის მოსამზადებელი პროგრამების არსებობით, ან ნაწილობრივ ან პირობითი გათავისუფლებით ზედამხედველობის ქვეშ ძლიერ სოციალურ მხარდაჭერასთან კომბინაციაში.

გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების (ნელსონ მანდელას წესები)[44] თანახმად, სასურველია სასჯელის ვადის დასრულების წინ მიღებულ იქნას ზომები პატიმრის საზოგადოებაში თანდათანობითი დაბრუნებისათვის. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია თითოეული საქმის თავისებურების გათვალისწინებით, განსაკუთრებით გათავისუფლების წინარე რეჟიმის შემუშავების გზით თვით იმავე ციხეში ან რომელიმე სხვა დაწესებულებაში, ან სასამართლოზე პატიმრის გათავისუფლებით რაიმე სახის ზედამხედველობის ქვეშ, რომელიც არ უნდა ევალებოდეს პოლიციას და რომელიც უნდა იყოს შერწყმული ეფექტიან სოციალურ დახმარებასთან.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის[45] თანახმად:

- პირობით ვადამდე გათავისუფლების ვადის და კრიტერიუმების შესახებ უნდა იცოდნენ პატიმრებმა[46] და ამ უფლების მისაღებად მოსახდელი სასჯელის მინიმალური ვადა უნდა განისაზღვროს კანონით;[47] ასევე, კრიტერიუმები, უნდა იყოს მკაფიო და რეალისტური იმ თვალსაზრისით, რომ გაითვალისწინოს პატიმართა პიროვნული, სოციალური და ეკონომიკური გარემოებები, პროგრამების ხელმისაწვდომობა;[48]
- უზრუნველყოფილია შემდეგი გარანტიებით: მსჯავრდებულებს უნდა ჰქონდეთ პირადად მოსმენისა და იურიდიული დახმარების უფლება; გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ ყურადღებით უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი ელემენტი, მათ შორის მსჯავრდებულთა განცხადებები, მსჯავრდებულებს უნდა ჰქონდეთ ადეკვატური წვდომა თავიანთ საქმეზე; გადაწყვეტილებებში უნდა იყოს მითითებული ძირითადი მიზეზები და ეცნობოს წერილობით;[49] გადაწყვეტილების მიმღებ პირებს უნდა ჰქონდეთ ანგარიშები, მათ შორის, ზეპირი განცხადებები ციხეში მომუშავე პერსონალისგან, ვინც იცნობს პატიმრებს და მათ პირად მდგომარეობას;[50]

---

[44] გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია N70/175, მიღებული 2015 წლის 17 დეკემბერს. წესი 87. იხ. <https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/GA-RESOLUTION/E_ebook.pdf> [ბოლოს ნანახია: 25.09.2023 წელს.]

[45] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)22 პირობით გათავისუფლების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2003 წლის 24 სექტემბერს მინისტრთა მოადგილეების 853-ე შეხვედრაზე) იხ. <https://rm.coe.int/16800ccb5d> (ბოლოს ნანახია: 25.09.2023 წელს).

[46] იქვე, პუნქტი 5.

[47] იქვე პუნქტები 16 და 22.

[48] იქვე, პუნქტი 18.

[49] იქვე, პუნქტი 32.

[50] იქვე, პუნქტი 25.

- პირობით გათავისუფლებულ პატიმართა რეციდივის რისკის შესამცირებლად შესაძლებელი უნდა იყოს ინდივიდუალური პირობების დაკისრება;[51] პირობით გათავისუფლებას ასევე უნდა ახლდეს ზედამხედველობა, რომელიც შედგება დახმარებისა და კონტროლის ზომებისგან. ზედამხედველობის ბუნება, ხანგრძლივობა და ინტენსივობა უნდა იყოს ადაპტირებული ინდივიდუალურ შემთხვევაზე და დაწესდეს გარკვეული პერიოდის განმავლობაში;[52]
- მსჯავრდებულებს უნდა შეეძლოთ საჩივრის შეტანა მაღალ, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში და ჰქონდეთ პროცედურული გარანტიები; ასევე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჩივრების პროცედურები პირობითი გათავისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებით.[53]

სახალხო დამცველის მონიტორინგის შედეგები

პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის სისტემური ხარვეზები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი წლების განმავლობაში, მათ შორის, 2014 წელს[54] და 2020 წელს[55] გამოქვეყნებულ სპეციალურ ანგარიშებში, საქმიანობის ანგარიშებსა[56] და საპარლამენტო ანგარიშებში[57] ყურადღებას ამახვილებს მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკის, მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის შესწავლის შედეგად გამოვლენილ პრაქტიკულ და საკანონმდებლო ხარვეზებზე. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ადგილობრივი საბჭოები ხშირ შემთხვევაში გადაწყვეტილებებს არ ასაბუთებენ და არ მიუთითებენ კონკრეტულ მოტივაციაზე, რის გამო ანიჭებენ ერთ კრიტერიუმს უფრო მეტ ყურადღებას და სხვას ნაკლებს. გარდა ამისა, გადაწყვეტილებები არაერთგვაროვანია და საბჭოს მსგავსი ფაქტობრივი მოცემულობის მქონე საქმეებში განსხვავებული გადაწყვეტილებები გამოაქვს. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მექანიზმის გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია დროულად გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები, რათა პატიმრები სრულად იყვნენ ორიენტირებულნი სასჯელის მოხდის პერიოდში მათზე

---

[51] იქვე, პუნქტი 8.

[52] იქვე, პუნქტები 9 და 10.

[53] იქვე, პუნქტები 33-34.

[54] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა“ 2014 წ. <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019041114483621063.pdf> [ბოლოს ნანახია: 25.09.2023 წელს].

[55] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში: პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში“. 2020 წ. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020020517313446710.pdf> [ბოლოს ნანახია: 25.09.2023 წელს].

[56] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის ანგარიშები: 2021 წლის ანგარიში, გვ. 56-69 https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf [ბოლოს ნანახია: 29.09.2023 წელს] 2022 წლის ანგარიში, გვ. 111-131 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf. [ბოლოს ნანახია: 29.08.2023 წელს]

[57] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები: „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ 2021 წლის ანგარიში, გვ. 86-90, 2022 წლის ანგარიში, გვ. 93-96 <https://www.ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi> [ბოლოს ნანახია: 25.09.2023 წელს].

დაკისრებული ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებასა და რესოციალიზაციის პროცესზე, შედეგად კი ჰქონდეთ ამ მექანიზმით ეფექტურად სარგებლობის იმედი.

[redacted] ჯანმრთელობის მდგომარეობა და სამედიცინო მომსახურება

2019 წლის [redacted] მსჯავრდებული [redacted] ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო N[redacted] პენიტენციური დაწესებულებიდან გადაიყვანეს [redacted], საიდანაც 2019 წლის [redacted], გადაიყვანეს სპეციალური პენიტენციური სამსახურის N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც დღემდე იმყოფება.

2019 წელს, საქართველოს სახალხო დამცველმა, მოწვეული სამედიცინო ექსპერტების დასკვნების საფუძველზე, რეკომენდაციით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს მსჯავრდებულ [redacted] ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის თაობაზე.[58] საგულისხმოა, რომ მსჯავრდებულის დიაგნოზი 2020 წელს უცვლელი იყო.[59]

2021 წელს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებული ექიმის, მედიცინის დოქტორის მიერ პატიმრის სამედიცინო დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პრობლემას წარმოადგენდა [redacted].[60]

სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტმა აპარატის მიმართვის შემდეგ, [redacted][61]

---

[58] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 7 მარტის N15-5/2748 რეკომენდაცია.

[59] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის2020 წლის 31 დეკემბრის N308493/01 წერილი.

[60] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 5 ნოემბრის N15-5/10589 წერილი.

[61] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2021 წლის 31 დეკემბრის N320171/01, 2022 წლის 17 თებერვლის N45183/01 და 2022 წლის სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2022 წლის 9 მარტის N65861/01 წერილები.

2020-2022 წლების ანგარიშებში[62] აისახა [redacted] მდგომარეობის თაობაზე ინფორმაცია, როგორც პატიმრებისთვის ადეკვატური სამედიცინო მომსახურების სფეროში სერიოზული პრობლემების თვალსაჩინო მაგალითი.

2023 წელს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ექიმის მიერ [redacted] სამედიცინო დოკუმენტაციის[63] შესწავლის შედეგად აღინიშნა, [redacted] ექიმმა ყურადღება გაამახვილა გამოძიების ფარგლებში დანიშნული სასამართლო [redacted] ექსპერტიზების[64] დასკვნების დაჩქარების საჭიროებაზე.

მოცემული საქმის ანალიზი

მსჯავრდებულ [redacted] სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი სასჯელით - შინაპატიმრობით შეცვლაზე 2-ჯერ უარი ეთქვა. თავდაპირველ გადაწყვეტილებაში საბჭო უარის მიზეზად ასახლებს დანაშაულის ხასიათს, სიმძიმეს, დანაშაულთა ერთობლიობას და დამატებით წახალისების არქონის ფაქტებზეც მიუთითებს. 6 თვის გასვლის შემდეგ მიღებულ ხელახალ გადაწყვეტილებაში საბჭო დადებითად აფასებს მხოლოდ წარსულში ნასამართლობის არქონის ფაქტს და იმ პირობებში, როცა მსჯავრდებულის მხრიდან არ ფიქსირდება ქცევის/ვითარების უარყოფითი ცვლილებები, დადებითად არ აფასებს მსჯავრდებულის ქცევას და ოჯახურ პირობებს. საბჭოს გადაწყვეტილების შინაარსის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი კვლავ ჩადენილი დანაშაულის ხასიათია და ამ თვალსაზრისით შეფასდა მსჯავრდებულის პიროვნება.სასჯელის მიზნებს სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია წარმოადგენს. პირობით ვადამდე გათავისუფლების გადაწყვეტილებას საბჭო იღებს, თუ ჩათვლის, რომ მსჯავრდებულის გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა. კანონი პირობით ვადამდე გათავისუფლების, ასევე, თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის თაობაზე საკითხის განხილვისას საბჭოსთვის გასათვალისწინებელ კრიტერიუმებს ადგენს, როგორიცაა მსჯავრდებულის ქცევა, წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, მსჯავრდებულის პიროვნება, ოჯახურ მდგომარეობა, ჩადენილი

---

[62] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის ანგარიშები: 2020 წლის ანგარიში, გვ. 43 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040113411364936.pdf> 2021 წლის ანგარიში, გვ.38-39 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf> 2022 წლის ანგარიში გვ. 189-190 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf> [ბოლოს ნანახია: 26.09.2023 წელს].

[63] მიღებული N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო N18 პენიტენციური დაწესებულების მთავარი ექიმის 2023 წლის 9 აგვისტოს N219959/01წერილის დანართი.

[64] სისხლის სამართლის N[redacted] საქმეზე, რომელიც მსჯავრდებულ [redacted] მიმართ ჩადენილი სავარაუდო გულგრილობის ფაქტზე მიმდინარეობს, 2021 წლის თებერვალში დაინიშნა კომპლექსური [redacted] ექსპერტიზა.

დანაშაულის ხასიათი და სხვა გარემოებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებაზე.

საგულისხმოა, რომ [redacted] ნასამართლობის არმქონე პირია, პირველად არის მსჯავრდებული დანაშაულისთვის (რისთვისაც სასჯელს იხდის), აქვს უმაღლესი განათლება და პროფესია, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ჰყავს მეუღლე და 3 მცირეწლოვანი შვილი, ოჯახთან აქვს კარი ურთიერთობა, არ არის აგრესიული და კონფლიქტური, იცავს დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, არასდროს დაკისრებია დისციპლინური სახდელი და მონაწილეობდა სოციალურ აქტივობებში ვიდრე ჯანმრთელობის მდგომაროება ამის საშუალებას აძლევდა. მსჯავრდებულს საბჭოში წარდგენილი აქვს დაზარალებულის თანხმობაც.

საბჭომ სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის ქცევა დადებითად არ შეაფასა მხოლოდ იმიტომ, რომ სარეჟიმო მოთხოვნების დაცვა პატიმრის ვალდებულებას და არა უფლებას წარმოადგენს, ხოლო ქცევის დადებითი დინამიკა უნდა ჩანდეს წახალისების სხვადასხვა ფორმებით. უნდა აღინიშნოს, რომ პატიმრის წახალისება განეკუთვნება პენიტენციური დაწესებულების დირექტორის დისკრეციულ უფლებამოსილებას.[65] საბჭოს გადაწყვეტილებებით ირკვევა, რომ მსჯავრდებული იქცევა კანონმორჩილად, იცავს დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რომლებიც სასჯელის მოხდის მთელ პერიოდში არასდროს დაურღვევია. შესაბამისად, მისი ქცევა სისტემატურად არის კანონმორჩილი ხასიათის და დადებით შეფასებას იმსახურებს. ის ფაქტი, რომ დირექტორს მის მიმართ წახალისება არ გამოუყენებია, ვერ შეფასდება მსჯავრდებულის უარყოფით მახასიათებლად.

მთავარი გარემოება, რის გამოც საბჭო მიზანშეუწონლად მიიჩნევს მსჯავრდებულ [redacted] თავისუფლების აღკვეთის შინაპატიმრობით შეცვლას, არის ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და ამ კონტექსტში ფასდება მსჯავრდებულის პიროვნებაც. საბჭო ასკვნის, რომ ერთი მხრივ, გათავისუფლების შემთხვევაში მსჯავრდებულის გეგმა ჯანმრთელობის მდგომაროების გაუმჯობესებისა და ოჯახთან ურთიერთობის დაკარგული დროის აღდგენის შესახებ, ირიბად მიანიშნებს დანაშაულის არაღიარებაზე. მეორე მხრივ, საბჭო კითხვებს სვამს მსჯავრდებულის სამომავლო გეგმებისა და მოტივაციის მკაფიოობის საკითხზე. საბჭო ყურადღებას ამახვილებს მსჯავრდებულისთვის განსაზღვრული საშიშროების მომეტებულ რისკზეც. ამასთან, საბჭო მიიჩნევს, რომ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე მხოლოდ დაზარალებულის თანხმობა ვერ გააბათილებს მსჯავრდებულის მხრიდან მომდინარე განზრახი დანაშაულის სამომავლო ჩადენის მომეტებულ საშიშროებას.

---

[65] „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N114 ბრძანების დანართის 79-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებულის მიერ სანიმუშო ყოფაქცევის ან/და საქმიანობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში დაწესებულების დირექტორი უფლებამოსილია მის მიმართ გამოიყენოს წახალისების ფორმები.

დანაშაულის ხასიათისა და მსჯავრდებულის პიროვნების საკითხზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია, რომ ჩადენილი დანაშაული არის უცვლელი გარემოება. სასამართლომ იმსჯელა ხსენებულ საკითხზე და მსჯავრდებულს განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთის სახით კონკრეტული სასჯელის ვადა. კანონმდებლობა სასჯელის საშეღავათო მექანიზმის - შინაპატიმრობით ან პირობით ვადამდე გათავისუფლების გამოყენების წინაპირობად არ მიიჩნევს დანაშაულის აღიარებას და მომეტებული რისკის განსაზღვრას (განსხვავებით საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულებისგან).

საგულისხმოა, რომ [redacted] გასამართლებულია ნაკლებად მძიმე (ქმედების ჩადენის დროისთვის) - ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის (პისტოლეტი და ვაზნები) მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა შენახვისთვის და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის - განზრახ მკვლელობის მომზადებისთვის.

სასჯელის ერთ-ერთ მიზანთან - სამართლიანობის აღდგენასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ [redacted] მსჯავრდებულია დაუმთავრებელი დანაშაულისთვის - მკვლელობის მომზადებისთვის და მისი ქმედების შედეგად არ მომხდარა ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა. მსჯავრდებულს დაზარალებულის თანხმობის დოკუმენტიც წარდგენილი აქვს საბჭოში. გასათვალისწინებელია უკვე მოხდილი სასჯელის ვადა (3/4, 6 წელი და 8 თვეზე მეტი) და დარჩენილი პერიოდი (2 წელი და 1 თვე).

რაც შეეხება **ახალი დანაშაულის თავიდან აცილების ლეგიტიმურ მიზანს,** ამ კონტექსტში განსაკუთრებით საყურადღებოა მსჯავრდებულის პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ საზოგადოების უსაფრთხოების საკითხის შეფასება. მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლების გარდა აუცილებელია აღინიშნოს, პირობით ვადამდე გათავისუფლებული მსჯავრდებულის ყოფაქცევის კონტროლს და შინაპატიმრობის აღსრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს სახელმწიფო ორგანო, რაც მსჯავრდებულის კონკრეტულ დროს საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულებით და ელექტრონული მეთვალყურეობის საშუალებებით ხდება და მინიმუმამდე ამცირებს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს. ამასთან, დამატებით შემაკავებელ ფაქტორად გვევლინება პირობების დარღვევის შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთის აღსრულების მექანიზმის არსებობა. მოცემულ შემთხვევაში დამატებით არსებითი მნიშვნელობისაა პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობაც ([redacted]). საგულისხმოა, რომ საბჭომ გადაწყვეტილება 2 შემთხვევაში ზეპირი მოსმენის გარეშე მიიღო, ხოლო ზეპირი მოსმენის შემთხვევაში მსჯავრდებულის უშუალოდ ან დისტანციური ჩართვის გზით ნახვის, მასთან უშუალოდ გასაუბრების და მდგომარეობის ჯეროვნად შეფასების შესაძლებლობა ექნებოდა.

დამნაშავის რესოციალიზაციის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს პატიმრის მონაწილეობა სოციალურ აქტივობებში (ჯანმრთელობის მდგომაროების გაუარესებამდე), კანონშესაბამისი ქცევა და მოტივაცია მომავლისკენ - ჯანმრთელობის მდგომაროების გაუმჯობესებაზე ზრუნვის და მკურნალობის მიზანი, ოჯახთან ურთიერთობების დროის კომპენსაცია, აკადემიური განათლების გაგრძელების და პედაგოგიური და [redacted]

[redacted] მიზნები. შესაბამისად, მკაფიო და ნათელია მსჯავრდებულის სამომავლო გეგმები. საგულისხმოა, რომ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო და N18 პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც [redacted] 2019 წლის [redacted] - 4 წლისა და 8 თვეზე მეტი პერიოდის განმავლობაში იმყოფება მოკლებულია ოჯახის წევრებთან (მათ შორის, მცირეწლოვან შვილებთან) ხანგრძლივი და ვიდეო პაემნის უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას. ამასთან, პენიტენციური სამსახურისთვის ცნობილია მსჯავრდებულის ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის (ხანმოკლე პაემნის, სატელეფონო საუბრის, ამანათის სახით) შესახებ, რაც სწორედ მათი მხრიდან პატიმრის მხარდაჭერასა და თანადგომაზე მიუთითებს. თავად საბჭოს გადაწყვეტილებაში მითითებულია მსჯავრდებულის ოჯახთან კარგი ურთიერთობის თაობაზე.

აღსანიშნავია მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მძიმე მდგომაროება - 2019 წლის [redacted] დღემდე [redacted] იმყოფება ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო N18 პენიტენციური დაწესებულების [redacted]

საგულისხმოა, რომ სასამართლოს მიმართვის საფუძველზე 2 წლისა და 8 თვის განმავლობაში უშედეგოდ მიმდინარეობს გამოძიება[66] [redacted] მიმართ სავარაუდო არასათანადო სამედიცინო მომსახურების და შესაბამისად, სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე.

[redacted]

აღსანიშნავია, რომ [redacted] ცნობილია დაზარალებულად[67] სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც სხვისი კერძო კომუნიკაციის უნებართვოდ მოსმენის, ჩაწერის და გავრცელების ფაქტზე, სავარაუდოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ჩანაწერების მასმედიით გავრცელების შემდეგ დაიწყო და როგორც მსჯავრდებული აცხადებს, ისმინებოდა მისი ყველა საუბარი ყველა პირთან, ვისაც პენიტენციურ დაწესებულებაში ხვდებოდა და ესაუბრებოდა. [redacted]

---

[66] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 3 თებერვლის N13/5561, 2021 წლის 31 მაისის N13/31439, 2021 წლის 5 ოქტომბრის N13/60487 და 2023 წლის 23 იანვრის N13/3716 წერილების თანახმად, სისხლის სამართლის N[redacted] საქმის გამოძიება მიმდინარეობს მსჯავრდებულ [redacted] მიმართ ჩადენილი სავარაუდო გულგრილობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით.

[67] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 2 მაისის N13/29544 და 1 აგვისტოს N13/52868 წერილების თანახმად, სისხლის სამართლის N[redacted] საქმეზე, რომლის გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, დაზარალებულად ცნობილია მსჯავრდებული [redacted]

[redacted]

დასკვნა

მსჯავრდებულისთვის გასაგები უნდა იყოს, მიუხედავად ჩადენილი დანაშაულებისა, კიდევ რა დადებით ქცევას ელის მისგან ადგილობრივი საბჭო. მხოლოდ ჩადენილი დანაშაულებისთვის განმეორებითი „დასჯა“ არ არის საბჭოს მანდატი. საბჭოს გადაწყვეტილება და მოტივაცია მოსალოდნელი ქცევის მიმართულებითაც უნდა იყოს გამჭვირვალე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ რეკომენდაციით, უზრუნველყოთ: მსჯავრდებულ [redacted] თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით - შინაპატიმრობით შეცვლის ან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას სრულყოფილად და ჯეროვნად გამახვილეს ყურადღება ხსენებულ გარემოებათა (ნასამართლობის არქონა, ქცევა, პიროვნება და ოჯახური მდგომარეობა, უფლებების დარღვევის ხასიათი და ჯანმრთელობის მდგომარეობა) ერთობლიობაზე და უპირატესობა არ მიენიჭოს მხოლოდ დანაშაულის სიმძიმეს და ხასიათს.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, გთხოვთ, მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE